აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

5 დეკემბერი, 2018

დადგენილება № 17(18/19)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 აპრილის №85(17/18) დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 აპრილის №85(17/18) დადგენილებაში. ამ დადგენილების ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კოლოკვიუმი. კოლოკვიუმი წარმოადგენს დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაციას, დოქტორანტის საქმიანობის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, ლიტერატურის შეფასება-განხილვას, რასაც მოყვება სამეცნიერო დისკუსია. დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურაში სწავლების პერიოდში არანაკლებ სამჯერ ჩააბაროს კოლოკვიუმი, მასთან არაუმეტეს ერთი კოლოკვიუმისა პირველ წელს და არანაკლებ ერთი კოლოკვიუმისა მესამე წელს. კოლოკვიუმის ჩაბარება უნდა დაიგეგმოს სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კრედიტების არანაკლებ ნახევრის ათვისების შემდეგ. კოლოკვიმის შესაფასებლად გამოიყოფა ერთი ან ორი რეცენზენტი, მათი დადებთი რეცენზიის შემთხვევაში გამოიყოფა კომისია არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრის შემადგენლობით. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს ან დადებითად ან უარყოფითად. კოლოკვიუმი ითვლება შესრულებულად თუ მას დადებითად შეაფასებს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე